BULLETIN

№ 1

# ბიულეტენი

პარიზი. დეკემბერი, 1951 წ. ◆ ქართული ეროვნული საბჭო ◆ Paris, Décembre 1951.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ეროვნული საბჭოს დამფუძნებელი კრება

20 ოქტომბერს, 15 საათზე და 30 წ., „სოსიეტე სავან“-ის დარბაზში გაიხსნა ქართული ეროვნული საბჭოს დამფუძნებელი კრება.

კრების დარბაზი მორთული იყო ქართული ეროვნული დროშებით და თეთრი გიორგის ემბლემებით. გარდა დელეგატებისა დარბაზი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით.

დამსწრეთა შორის იყვნენ საგანგებო ბარათებით მოწვეულნი ეროვნული მთავრობის მთელი შემადგენლობა, საქართველოს ელჩი ბ-ნი აკ. ჩხენკელი, პარიზის კოლონიის გამგეობა და ეროვნული მთავრობის თანამშრომელნი: ჟენევიდან ლ. ხ. შავიშვილი და ინგლისიდან — ბ. ა. გუგუშვილი.

კრებას ხსნის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე ბ. რ. არსენიძე.

ბატონებო — ამბობს ის — პირველი ჩვენი სულისთქმა, პირველი გაელვება ჩვენი აზროვნების, უნდა ეკუთვნოდეს და ეკუთვნის იმათ, ვინც ზვარაკათ შეეწირა ქართველი ერის თავისუფლებას და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ თვითარსებობას. იმათ, ვინც ციხე-ციმბირში, თუ ტყვეობაში, თუ აქ, გადმოხვეწილობაში, საქართველოს სიყვარულით პირზე, გადადიოდა წინაპართა დიდ პანთეონში. ბატონებო! გთხოვთ ერთი წუთის თავდახრილი დუმილით ვეზიაროთ მათ სახელს და დიდებას.

ბატონებო! აქ ჩვენ შორის იმყოფება პირველი და ერთად-ერთი, პრეზიდენტი დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ბ. ნოე ჟორდანია.

თავისუფლება მოტაცებულ ქართველი ერისათვის ის, როგორც პრეზიდენტი, არის სიმბოლო მისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის, ეროვნული მთლიანობის და დამოუკიდებლობის (ტაში).

ნება მიბოძეთ ბ. საბჭოს წევრნო, თქვენი ყველას სახელით მივესალმო მას (ტაში), ვუსურვო ხანგრძლივი სიცოცხლე, ვუსურვო მხნეობა და შეუდრეკლათ ეზიდოს თავის მძიმე მოვალეობის ტვირთი და მიეტანოს იგი თავისუფალ საქართველოში (ტაში).

თქვენი სახელით ვსთხოვ ბ. ჟორდანიას მიიღოს საპატიო თავმჯდომარეობა ჩვენი დარბაზობის (საერთო ოვაცია).

ამის შემდეგ მიმართა კრებას ვრცელი სიტყვით*), რომელიც დაათავა ასე: დღეს მთელი ქვეყანა ხედავს და გრძნობს, რომ დედამიწას არ ელირსება არც ადამიანური არსებობა, არც მშვიდობიანი ცხოვრება და წარმატება, თუ ეს საშინელი და უმსგავსი ტირანია კრემლის ბატონობისა არ იქნა დამხობილი და განადგურებული. იგი დღეს ჩვენთანაა ბრძოლაში და ჩვენ მასთან! ერთა თავისუფლების საკითხი დღეს წესრიგშია დასმული! მაშ იმედით წინ, ბატონებო! გაუმარჯოს ქართველ ერს! გაგიმარჯოთ თქვენ! (საერთო ტაში).

ქართული ეროვნული საბჭოს პირველ დარბაზობას ვაცხადებ გახსნილათ. გთხოვთ აირჩიოთ პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა თავმჯდომარეებათ: ბ.ბ. ვლ. ბაქრაძე, კ. გვარჯალაძე და დ. სხირტლაძე. მდივნებათ — ვ. ინწკირველი, გ. ბოლქვაძე და თ. ანთაძე. არჩეულ იქნა აგრეთვე სამანდატო და პოლიტიკური კომისია. ყრილობას დაესწრო 41 დელეგატი: შვიდი საქ. სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელი; შვიდი — ქარ. გაერთიანებულ სოც.-დემ-ბის; ოთხი სოც.-ფედერალისტების; ოთხი — „თეთრი გიორგი“-ს; სამი — ბ.ბ. დ. სხირტლაძე, მ. გოგორიშვილი და გ. წერეთელი (ახალი ემიგრანტი) მოწვეულ იქნენ დელეგატებათ საორგანიზაციო კომისიის მიერ. მოწვეულ იქნენ აგრეთვე დელეგატებათ ოთხი უპარტიონი. სოშოს ქართველობამ გამოგზავნა 5 დელეგატი; ლონდონმა — ორი; სპარსეთის ქართველობამ გადმოგზავნა ორი მანდატი; ოსმალეთმა — ერთი; არგენტინამ — ერთი; იტალიამ ერთი.

ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ვერ ჩამოვიდა მიუნხენის ქართველობის ოთხი დელეგატი. ამავე მიზეზის გამო ვერ დაესწრო დელეგატი ბრიუსელიდან. მათ მოასწრეს მხოლოდ მისალმების გადმოგზავნა. ამერიკის ქართული კოლონია მილოცვასთან ერთად სთხოვდა ყრილობას წაკითხულიყო, როგორც დამსწრე დელეგატის ხმა, მათ მიერ მიღებული დადგენილება ეროვნული საკითხის შესახებ, რაც შესრულებული იქნა. ამ რიგათ, არ დარჩენილა ქართველობის არც ერთი სათვისტომო, რომ არ ყოფილიყოს წარმოდგენილი საბჭოს ყრილობაზე ან უშუალოთ, ან მანდატების გადმოგზავნით.

ყრილობაზე მილოცვით საქართველოს ეროვნული მთავრობის დავალებით და მისი სახელით გამოვიდა ბ-ნი ევ. გეგეჭკორი (მისი განცხადება იბეჭდება ცალკე).

ყრილობამ გასტანა ორი დღე, ქონდა სამი საერთო სხდომა და დაამუშავა ყველა ის საკითხები, რომელიც იდგა მის წინაშე. მან მიიღო ერთხმად საორგანიზაციო კომისიის მიერ შემუშავებული საბჭოს წესდება მცირე შესწორებით. (პროექტი ამ წესდებისა თავის დროზე დაეგზავნა ყველა სათვისტომოებს). წესდების მუხლობრივ განხილვის დროს, ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენელთ და აგრეთვე უპარტიოთაც — სრული საშვალება ქონდათ გამოერკვიათ თავიანთი პოზიცია როგორც პრინციპიალურ, ისე საორგანიზაციო საკითხების შესახებ და, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხების შესახებ მომხდარი აზრთა გაცვლა-გამოცვლა მეტად საინტერესო და მეტად შინაარსიანი იყო.

ყრილობამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი და მათ შორის სპეციალური დადგენილება — ეთხოვოს ეროვნულ მთავრობას წარმოგზავნოს თავის წარმომადგენელი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მუდმივ მონაწილეობისათვის. თანახმად ამ მიმართვისა — მთავრობას აღმასრულებელ კომიტეტში წარმოადგენს ბ-ნი ევ. გეგეჭკორი. საბჭომ დაავალა აგრეთვე თავის კომიტეტს გამართოს მოლაპარაკება ნაც.-დემოკ. პარტიასთან, მისი ეროვნულ საბჭოს მეორე ყრილობაზე მოწვევის მიზნით, რომელიც უნდა შესდგეს არა უგვიანეს ექვსი კვირისა.

დაბოლოს მან აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი პირებისაგან: ბ.ბ. კ. გვარჯალაძე, გრ. ურატაძე, ნ. ცინცაძე, რ. არსენიძე, დ. სხირტლაძე, გ. კერესელიძე, კ. სალია და ნ. ურუშაძე.

---

*) ეს სიტყვა დაიბეჭდება კრების საერთო ოქმში.

# მთავრობის განცხადება

30 წელიწადზე მეტია, რაც ქართველი ერი, საშინელ პირობებში იბრძვის სამშობლოში უცხო უღლიდან განთავისუფლებისათვის.

ამავე დროს მისი კანონიერი, საზღვარგარეთ გამოხიზნული მთავრობა, პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად, ქართულ საკითხის პროპაგანდას ეწევა უცხოეთში და ოფიციალურ წრეებთა წინაშე იცავს ქართველი ერის უფლებას.

დღეს საქართველოს საკითხს ყოველგან იცნობენ და მის მდგომარეობას თანაუგრძნობს კაცობრიობის მოწინავე ნაწილი: სახალხო კრებებზე, კონგრესებზე, პარლამენტებში, ერთა ლიგაში, თავისუფალ პრესაში — ყველგან მრავალი რეზოლუციებია გამოტანილი საქართველოს სასარგებლოთ და მრავალი დასაბუთებული წერილი და წიგნებია გამოქვეყნებული მისი უფლებების დასაცავათ.

თუ ყოველივე ეს დღემდის საქართველოს მიმართ მხოლოდ ადამიანურ თანაგრძნობის დემონსტრაციათ შეგვეძლო ჩაგვეთვალა, მეორე ომის მომყოლმა ამბებმა მდგომარეობა შეცვალა; გაიფანტა ილიუზია საბჭოთა რეჟიმის დემოკრატიათ გადაკეთებისა და ბრმათათვისაც აშკარა შეიქნა მოსკოვის იმპერიალისტური ზრახვები; საბჭოთა კავშირი განათლებულ კაცობრიობას და საერთაშორისო დემოკრატიას დაუპირდაპირდა და ისინი თავის წინააღმდეგ დარაზმა.

დღეს ჩვენ მარტონი არა ვართ; საქართველოს საკითხი უბრალო თანაგრძნობის სფეროდან გამოდის და იგი საერთაშორისო სამართლის და ერის გათელილ უფლების აღდგენის საგნად გახდა; ჩვენს და ჩვენსავით უფლება აყრილ ერთა მოთხოვნას ემატება ხმა და ძალა საერთაშორისო დემოკრატიის. ჩვენ ყოველ გვარად ხელი უნდა შევუწყოთ მოწინავე კაცობრიობის ამ ლტოლვას, ჩვენი საკითხით უფრო და უფრო მის დაინტერესებას და საქართველოს სუვერენულ უფლებების მის მიერ მხარის დაჭერას.

ჩვენ უნდა გამოვაცოცხლოთ და გავაძლიეროთ ჩვენი კავშირი საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დაჩაგრულ ერებთან; ჩვენ ხელი უნდა გაუწოდოთ ყველა მათ, ვინც საბჭოთა ტირანიის ქვეშ იტანჯება და მის წინააღმდეგ იბრძვის; ვინც მოსკოვის რეჟიმის დამხობას მიზნათ ისახავს, ჩვენი მოკავშირეა, თუ კი ის არ უარყოფს ერთა თვითგამორკვევის უფლებას და არ ებრძვის მოსკოვის პირველ მსხვერპლის, საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას.

სამუშაო ბევრია და პასუხისმგებლობა მეტად მძიმე. ეხლა ჩვენი ძალების გაათკეცებაა საჭირო. ამიტომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით დღევანდელ წამოწყებას და ვიმედოვნებთ, რომ პოლიტიკურ ემიგრაციის გაერთიანებული ორგანო შემოკრებს თავის ირგვლივ ემიგრაციის ყველა სასიცოცხლო ძალებს და მათ ქვეყნისათვის საჭირო მუშაობაში ჩააბამს. დღევანდელი თქვენი ყრილობა, ეს პირველი ცდა უცხოეთში ქართველობის თავის მოყრისა, თავდებია იმისა, რომ ამიერიდან ქართველ ემიგრაციის ფართო წრეები, რომელთა გაერთიანებას ჩვენ მუდამ ვცდილობდით, ერთ სულოვანათ იმუშავებენ საქართველოს განთავისუფლების საქმეზე.

საქართველოს ეროვნული მთავრობა თავის მხრივ მზად არის ხელი შეუწყოს თქვენს მუშაობას, კარი შეუღოს მას ყოველგან, სადაც თვითონ მიესვლება და თავისი ფორმალური უფლება და დიდი ხნის გამოცდილება თქვენთან ერთად საერთო საქმეს მოახმაროს.

# ვისბადენის თათბირი

20 ოქტომბერს, ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენელ ბ. ი. დონ ლევინისაგან წინადადება გაეგზავნათ ორი დელეგატი ვისბადენში, სადაც ისინი შეხვდებოდენ როგორც რუსების, ისე სხვა ერების წარმომადგენელთ. კომიტეტმა იქონია ამ წინადადების შესახებ ყოველმხრივი მსჯელობა, მიიღო მიწვევა და თავის წარმომადგენლებათ გაგზავნა ორი დელეგატი — ბ. ნ. ცინცაძე და ბ. დ. სხირტლაძე, რომელთაც მისცა შემდეგი მანდატი: 1. გააბან საქმიანი ურთიერთობა სხვა ერების წარმომადგენლებთან ქართულ ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ პოლიტიკური ბაზაზე; 2. ურთიერთობა შესაძლოა: ა) მხოლოდ იმ ელემენტებთან, რომლებიც სცნობენ ჩვენს უფლებას უდაოთ; ბ) უარყოფენ საერთოდ დიქტატორულ რეჟიმს და გ) ყოველ ეჭვს გარეშე ჩვენში, ბოლშევიკური ოკუპაციის ადგილას, სხვა უცხო ოკუპაციის დამყარების ცდების მხრივ.

სანამ დელეგატები ჩავიდოდენ ვისბადენში — ისინი ესტუმრენ მიუნხენის ქართულ წრეს, რათა გაეცნოთ მათთვის საქმის ვითარება და თან გასცნობოდენ მათ აზრსა და შეხედულებას მთელ რიგ საკითხებზე.

მიუნხენშივე მოხდა შეხვედრა უკრაინის რადის წარმომადგენლებთან, რომელთა თხოვნით, ბელორუსიის დელეგატთან ერთად, შეჩერდენ აუგსბურგში, სადაც ინახულეს უკრაინის რადის მეთაურები და იქონიეს მათთან ხანგრძლივი ბაასი იმ საკითხების შესახებ, რომელიც იდგა თათბირის დღის წესრიგში. ამ ბაასში გამოირკვა უკრაინელების შიში, რომ თათბირში მონაწილეობა არ მიეღო უკრაინელთა შემთხვევით წარმომადგენლობას. ჩვენს დელეგატებს ამაზე ამერიკული კომიტეტის წარმომადგენლისაგან წინასწარ ჰქონდათ კატეგორიული რწმუნება, რომ ასეთ რამეს ადგილი არ ექნებოდა *). ამ შეხვედრიდან ჩვენმა დელეგატებმა მიიღეს შთაბეჭდილება, რომ ის დაბრკოლებანი, რომელიც ხელს უშლიდა მათ თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას, არც ისე ძნელი გადასალახავი იქნებოდა.

აქედან დელეგატები გაემგზავრენ პირდაპირ ვისბადენში, სადაც უკვე მისული იყვნენ ყველა სხვა დელეგატები და მათ პატივსაცემათ და ერთმანეთში გასაცნობათ, 2 ნოემბერს, ამერიკულ კომიტეტის მიერ მოწყობილი იყო საზეიმო ბანკეტი. რუსის დელეგატები იყვნენ წარმოდგენილი რუსის ხუთი პოლიტიკური ორგანიზაციიდან. სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები იყვნენ: საქართველოს ეროვნული საბჭოს, სომხების, ადერბაიჯანის, ბელორუსიის რადის, ჩრდილო-კავკასიის და თურქესტანის.

ბანკეტი დასრულდა სიტყვებით. მისასალმებელი, მგრძნობიარე და გაზომილი სიტყვით მიმართა კრებულს ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენელმა. შემდეგ ილაპარაკა ბ. ა. კერენსკიმ და, დასასრულ, სიტყვა მიეცა ჩვენს წარმომადგენელს ბ. ნ. ცინცაძეს, რომელმაც აღნიშნა რა ამერიკულ საზოგადოებრივი აზრის ევოლუცია, მიესალმა კომიტეტის ინიციატივას და განაგრძო: თუ ვინმე იფიქრებს, რომ დრო და ჟამს გადაჰყვა ეროვნული იდეა, — ის გარემო სინამდვილესთან სასტიკ წინააღმდეგობაში აღმოჩნდება. ბრძოლა ერთა სრულ ემანსიპაციისათვის, — ეს ის საკაცობრიო მოძრაობაა, რომლის პროცესი, მოწყებული საფრანგეთის რევოლუციიდან — დღესაც არ დასრულებულა. კიდევ მეტი, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ეროვნული ბრძოლის ფრონტმა საკულმინაციო წერტილს მიაღწია. განვლილი ხანა იმასაც აშკარათ მოწმობს, რომ სწორეთ ნაციონალურ კულტურის გზით ეზიარა კაცობრიობა თვით სოციალურ ეკონომიურ გარდაქმნებსაც.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე — გარდამავალ ხანაში — ერის თავისუფლების და სუვერენობის იდეას თითქოს ემუქრება მეორე — „პლანეტარული“

---

*) რამდენიმეთ ანალოგიურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი სომხურ დელეგაციის ირგვლივაც; ჩვენმა დელეგატებმა ამის შესახებ ორჯერ საჯაროთ განაცხადეს, რომ სომხური კვალიფიციური წარმომადგენლობა დაშნაკელების გარეშე მათ ვერ წარმოუდგენიათ, რამაც ცხარე ინციდენტიც კი გამოიწვია იქ წარმოდგენილ „დელეგატებისა“ და თავმჯდომარის შორის.

(შეიძლება ითქვას) მოძრაობა, მთლიანობისაკენ მიმართული, რომელიც პირველ დღიდანვე ჩაქსოვილი იყო თანამედროვე სოციალ-ეკონომიური რეჟიმში და რომელითაც დაძარღვულია მსოფლიო მეურნეობა.

თუ მართლაც კაცობრიობა მიექანება ასეთ მთლიანობისაკენ, აქ უნდა ვუპასუხოთ ბ. კერენსკის, რომ გზა და ხიდი მისგან ნაჩვენები (იმპერიის ხელოვნურ მთლიანობის დაცვა, თუ გინდ ასეთივე ხელოვნურ „ფედერაციითაც“ ზევიდან შეფერადებული), ამისათვის არ გამოდგება. სულ სხვა მეთოდი და საშვალებაა ამ მიზნისათვის პოლიტიკური ბუნებისაგან და ისტორიისაგან ნაკარნახევი.

**განთავისუფლებული და სუვერენული ერები თვით შექმნიან ახალ ურთიერთობას; თავისუფალი და დამოუკიდებელი ერი უნდა გახდეს ფუძე და ქვა-კუთხედი ერთა ასოციაციისა.**

და აი, აქ უნდა ჰპოვოს სინტეზი და დაგვირგვინება იმ ორ მოწინააღმდეგე ტენდენციათა დენამ, რომლითაც დასერილია უკანასკნელი საუკუნე.

ბ. ცინცაძის სიტყვას მხურვალე ტაშისცემით შეხვდენ როგორც რუსის ორგანიზაციების მემარცხნე ნაწილი, ისე, სხვა ერთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელნიც თავის თანხმობას მის სიტყვასთან, გამოხატავდენ მისალმებით და მეგობრული ხელის ჩამორთმევით. მეორე დღეს გაიხსნა თათბირის ოფიციალური სხდომა და მის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ბ-ნი ნ. ცინცაძე.

თათბირის დღის წესრიგისათვის ბ-მა კერენსკიმ რუსის ხუთი პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით შემოიტანა 1951 წ. 19 აგვისტოს, შტუტგარდში, რუსის ხუთი პოლ. დაჯგუფების მიერ შემუშავებული პროექტი „რუსეთის ხალხების განმათავისუფლებელ საბჭოს“ შესაქმნელათ, თავის აღმასრულებელი ორგანოთი. ამ პროექტში აღიარებულია, რომ „რუსეთის ხალხების განმათავისუფლებელი საბჭო“ უნდა გახდეს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ორგანოთ ყველა იმათი, ვინც ამ ბრძოლაში მიიღებს მონაწილეობას, ბოლშევიზმის ლიკვიდაციის შემდეგ მოწვეულ უნდა იქნეს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომელიც დაამყარებს რუსეთში სახელმწიფო წყობას დაფუძნებულს ხალხის უფლებებზე, კანონიერებაზე, სოციალური სამართლიანობაზე და რუსეთის ყველა ხალხის თანასწორ უფლებებზე და, თუმცა პრინციპიალურათ აღიარებულია ყველა ხალხზე თვითგამორკვევის უფლება, მარა „რუსეთის დაყოფა“ მიჩნეულია როგორც „შეუფერებელი პოლიტიკურათ, კულტურულათ და ეკონომიურათ თვით ამ ხალხების ინტერესებისათვის“.

წარმოდგენილი პროექტის დანიშნულების შესახებ შეკითხვაზე, მიუხედავათ ბ. კერენსკის პროტესტისა, თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ პროექტს, თუ ის dictat-ს არ წარმოადგენს, უნდა შევხედოთ როგორც პროექტს და მასალას, რომელიც გადაეცემა კომისიას განსახილველათ.

ბელორუსიის დელეგატის შენიშვნაზე, რომ თუ ასეა ჩვენ საქმე გვაქვს, ასე ვთქვათ, „კარნახთან“-ო — ბ-მა **ნიკოლაევსკიმ**, როგორც წარმომადგენელმა რუსის ერთი დაჯგუფებისა, განაცხადა, რომ კერენსკის მიერ წაკითხული პროექტი არის მხოლოდ უბრალო მასალა მსჯელობისათვის და რომ თათბირი სრულიად თავისუფალია შეასწოროს ის, გინდ სრულიად უარჰყოს და თავის საკუთარი შეიმუშაოს და მიიღოს. საბოლოოთ, ეს შეხედულება გაზიარებულ იქნა ყველას მიერ და, თავმჯდომარის წინადადებით, მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ძირითად საკითხებზე, როგორიცაა — ნაციონალური საკითხი, მომავალ ორგანოს სტრუქტურა და მისი სახელწოდება.

ბ. დ. სხირტლაძე, ამ დისკუსიის დროს ანვითარებდა იმ აზრს, რომ რუსების წარმოდგენილი პროექტი თავის პოლიტიკური ნაწილით არამც თუ ეთანხმება სხვა ერების ინტერესებს, პირიქით, ეწინააღმდეგება კიდევაც და ამიტომ წარმოდგენილი პროექტის განხილვა უნდა გადაიდოს, შესწყდეს პლენუმის საერთო სხდომა რომ ნაციონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელთ ექნეს საშუალება შეიკრიბონ ცალკე და დაამუშაონ თავის შეხედულება.

ბ. სხირტლაძის ეს წინადადება იქნა მიღებული და ექვსი ერის წარმომადგენლები შეიკრიბენ ცალკე ბ. ცინცაძის თავმჯდომარეობით. ამ კრებულმა ხანგრძლივი თათბირის შემდეგ უარყო რა რუსული პროექტი, შეიმუშავა და წარუდგინა რუსის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთ შემდეგი დებულებანი:

„გამოვდივართ რა ერთა თვითგამორკვევის პრინციპიდან, ჩვენ... ვცნობთ საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა უდაო უფლებას თავისუფლათ, დემოკრატიული წესით, პლებისციტით, ან ნაციონალური დამფუძნებელი კრების დადგენილებით, ან სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების გზით იმ ერებისთვის, რომლებიც დარჩებიან რუსეთის ფარგლებში — თვით გამოარკვიონ თავისი ბედი, ზემო აღნიშნულ უფლების რეალური უზრუნველყოფით და გარანტიით“. ამას ერთვის შემდეგი დამატება: „თავისუფალი ერები, რომლებიც არსებობდენ, როგორც სუვერენული სახელმწიფონი, საერთაშორისო ცნობით მოსილნი და რომლებიც გახდენ მსხვერპლი საბჭოთა სამხედრო დაპყრობისა — ავტომატიურად აღადგენენ თავის დამოუკიდებლობას საბჭოთა რეჟიმის ლიკვიდაციის შემდეგ“.

რუსს პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს ნაციონალურ დელეგატების მიერ შემუშავებული ზემოთ მოყვანილი დებულებანი და აცნობეს თათბირის თავმჯდომარეს, რომ ისინი ვერ მიიღებენ საერთოდ ყველა ხალხებისათვის პრინციპა და უფლებას აღადგინოს ავტომატიურათ თავის სუვერენული უფლება პლებისციტის, ან ნაციონალური დამფუძნებელი კრების დადგენილების გარეშე. მხოლოდ, ამავე დროს, ისინი (ვისბადენის თათბირზე ხუთი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელნი) იღებენ რა მხედველობაში საქართველოს განსაკუთრებულ მდგომარეობას, — **უდაოთ სცნობენ აღნიშნულ უფლებას ქართველი ერისათვის და მზათ არიან სათანადო წინადადებით შევიდენ მომავალ პლენუმზე დასადასტურებლათ“. აღნიშნული განცხადების წერილობითი საბუთი უკვე არის დელეგაციის განკარგულებაში.**

რაც შეეხება თვით ფორმულას ეროვნული საკითხის შესახებ, რუსს ორგანიზაციების წარმომადგენელნი მოითხოვდენ, რომ ტექსტის იმ ნაწილში, რომელიც ეხება „რუსეთის დამფუძნებელ კრებას“, ამოღებული ყოფილიყო უკანასკნელი აბზაცი, სახელდობრ: „იმ ხალხებისათვის, რომლებიც დარჩებიან რუსეთის შემადგენლობაში“... რაც, მათი აზრით, ისედაც იგულისხმებოდა დანარჩენი ტექსტის მიხედვით.

დასასრულ გაიმართა ხანგრძლივი კამათი მომავალ ორგანოს სტრუქტურის შესახებ და საერთო სახელწოდების გამო. თუ პირველის შესახებ შედარებით იოლათ გამოინახა ბაზა შესაძლებელი შეთანხმებისა (პარიტეტის პრინციპზე აგებული), **უკანასკნელი (სახელწოდება) გადაუწყვეტელი დარჩა.**

ეროვნებათა ს ე ქ ტ ო რ ი მოითხოვდა სახელწოდებაში შეტანილიყო ნაცვლათ „რუსეთის ერებისა“ — საბჭოთა კავშირში შემავალ ერთა და სხვ. ამ საკითხზე დიდი ხნის კამათის შემდეგ ნაციონალთა სექცია აკეთებს კონსტატაციას, რომ შეთანხმება არ მოხდა და ის რჩება ღიათ მომავალ პლენუმამდის, — რომელმაც, სხვა კითხვებთან ერთად, ესეც საბოლოოთ უნდა გაარკვიოს და გადასწყვიტოს. ეს წინადადება დაადასტურა გაერთიანებულმა საერთო სხდომამ და მასთან ერთად მიიღო დადგენილება (ესეც დიდი კამათის შემდეგ) შექმნას ერთა შორის პარიტეტული კომისია, რომლის ფუნქცია იქნება ტეხნიკური მომზადება და მოწვევა მომავალი უფრო სრული პლენუმისა.

„ერთაშორის“ კომისიის საკითხით გამოწვეული გამწვავება და კონფლიქტი ჯერაც არ არის ამოწურული და მოწესრიგებული. ასეთი კომისიის დაარსება გულისხ-

მობდა იდანტიურ ფუნქციებით არსებულ რუსულ ბიუროს ავტომატიურათ გაუქმებას, რაც თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მისმა თავმჯდომარემ კატეგორიულათ განაცხადა და პროტესტი არავისაგან ყოფილა. ამ აზრს რუსული სექტორი (უკეთ, მისი უმრავლესობა) ვერ ურიგდებოდა და, თითქმის, დღევანდლამდის ობიექტიურათ მათი მოქმედება ერთგვარი საბოტაჟის ბეჭედს ატარებს. საკმარისია ამისთვის გადახედოთ მათ პრესას ვისბადენის შემდეგ: თუ წინეთ თითქოს „შეფიცულნი" იყვნენ და შტუტგარტის „რუსულ დეკლარაციას არ აქვეყნებდნენ, სწორეთ ახლა, როცა „შტუტგარტი" ისტორიის ეკუთვნის — მკითხველის წინაშე ის სადღეისოთ გამოაფინეს და საზოგადოება ამით შეცდომაში შეჰყავთ.

ნაციონალურ ორგანიზაციებიდან ამ კომისიაში შედიან სამი წევრი, მათ შორის ბ. დ. სხირტლაძე. რუსულმა სექციამ დაიტოვა უფლება დაასახელოს თავისი სამი წარმომადგენელი თათბირის შემდეგ.

თათბირმა მიიღო დასასრულს მოწოდება-მიმართვა და ცნობა პრესისათვის, რომელიც ქვემოდ იბეჭდება.

თათბირი დასრულდა „პრეს - კონფერენციით", რომელსაც დაესწრო რამდენიმე ათეული კორესპოდენტი (განსაკუთრებით ამერიკის, ინგლისის და გერმანიის), წაკითხულ იქნა „კომუნიკე" და მთელი რიგი კითხვა - პასუხების შემდეგ, თათბირი დასრულებულათ გამოცხადდა.

## ცნობა

რუსეთის ხუთი პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (სახალხო თავისუფლების მებრძოლი ლიგა, ნაციონალური შრომის კავშირი, რუსეთის სახალხო მოძრაობა, ბრძოლის კავშირი რუსეთის ხალხების განთავისუფლებისათვის, ბრძოლის კავშირი რუსეთის თავისუფლებისათვის) და ნაციონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (აზერბაიჯანის ეროვნული მთლიანობის საბჭო, თავისუფლებისათვის მებრძოლ სომხების გაერთიანება, ბელორუსიის სახალხო რადა, ქართული ეროვნული საბჭო, ჩრდილო - კავკასიის ეროვნული გაერთიანება, თურქესტანის ნაციონალური კომიტეტი)—3-7 ნოემბერს, ქალ. ვისბადენში, მოაწყვეს საერთო თათბირი, სადაც ირჩეოდა საკითხი ბოლშევიკური დიქტატურის წინაალმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო საერთო პოლიტიკური ცენტრის შესადგენათ.

ემიგრაციის არსებობის ხანაში, პირველათ მოხდა ასეთი შეხვედრა, რაც თავისთავად მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს. შეხვედრას ახასიათებდა წრფელი სურვილი, გამონახათ ნიადაგი საერთო მუშაობისათვის. მიღწეულ იქნა პრინციპიალური შეთანხმება თანამშრომლობაზე, მიუხედავათ ზოგიერთი სხვა და სხვაობისა, რაც აიხსნება იმ საკითხების მეტისმეტი სირთულით, რომელიც იდგა თათბირის წინაშე. თათბირის ყველა მონაწილენმა საჭიროთ აღიარეს ამ საკითხების დადებითად გადაჭრა.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ნაციონალურ პრობლემას. თათბირის მონაწილენმა აღიარეს, რომ ყველა ხალხებს აქვს უდაო უფლება თვითგამორკვევის, უდაო უფლება თვითონ, დემოკრატიული ნებისყოფით, გადასჭრას თავის ბედი.

მიჩნეულ იქმნა საჭიროთ გაძლიერდეს დამკვიდრებული კონტაქტი და აწარმოვონ მუშაობა დაწყებული თანამშრომლობის გასავითარებლათ, რისთვისაც უნდა შეიქნეს ქვეთაშორის კომისია.

ახალი შეხვედრა რუსეთისა და ნაციონალების პოლიტიკური ორგანიზაციებისა მოხდება ახლო მომავალში.

## დეკლარაცია

ჩვენ, წარმომადგენელნი რუსეთის ხუთი პოლიტიკური ორგანიზაციისა ერთი მხრით და ნაციონალური პოლიტიკური ორგანიზაციებისა: აზერბაიჯანის, სომხების, ბელორუსების, ქართველების, ჩრდილო-კავკასიისა და თურქესტანის—მეორე მხრით, შევიკრიბენით რა საერთო თათბირზე, დღევანდელი სსსრ. ყველა ხალხების ბოლშევიკური დიქტატურისაგან განმათავისუფლებელ ბრძოლის საკოორდინაციო ერთი პოლიტიკური ცენტრის შესაქმნელათ, ბოლშევიკური უზურპატორების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების წლის თავზე — საქვეყნოთ ვაცხადებთ:

1. **ჩვენ ერთი და შეურიგებელნი ვართ უარყოფაში კომუნისტური დიქტატურისა, რომლის ლიკვიდაციამ გზა უნდა გაუხსნას ხალხების თავისუფლებას;**

2. **ჩვენ ერთი ვართ და უდაოთ ვსცნობთ ჩვენი ხალხების თვითგამორკვევის უფლებას, უფლებას, რომ მათ თვითონ, დემოკრატიული წესით, გადასჭრან თავის ბედი.**

3. **ჩვენ ერთი ვართ სურვილში, რომ ჩვენი ხალხების მთელი ძალ - ღონე მივმართოთ კომუნისტური მონობისა, თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის გადამჭრელ ბრძოლისათვის.**

**ვისბადენი, 7 ნოემბერი 1951 წ.**

ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი ლიგა:
**ბ. ი. ნიკოლაევსკი**
**ვ. მ. ზენზინოვი**
**ვ. მ. დენისოვი.**

შრომის ნაციონალური კავშირი:
**ვ. მ. ბაიდალაკოვი**
**ე. რ. რომანოვი**
**ა. ნ. არტემოვი.**

რუსეთის სახალხო მოძრაობა:
**ა. ფ. კერენსკი**
**ი. ა. კურგანოვი.**

რუსეთის ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის კავშირი:
**ბ. ა. იაკოვლევი**
**იუ. ბ. დიკოვი**
**გ. ი. ანტონოვი.**

რუსეთის თავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი:
**ს. პ. მელგუნოვი**
**ბ. ა. ნიკიტინი.**

აზერბაიჯანის ეროვნული ერთობის საბჭო: **დ. ხაჯიბეილი**
**ი. აკბერი**
**შეიხ - ულ - ისლამი.**

თავისუფლებისათვის მებრძოლ სომხების გაერთიანება:
**გ. საარუნი**
**გ. პანოიანი**
**ა. ბაბაიანი.**

ბელორუსიის ხალხთა რადა:
**ბ. რაგულია.**

ქართული ეროვნული საბჭო:
**ნ. ცინცაძე**
**დ. სხირტლაძე.**

ჩრდილო-კავკასიის ანტიბოლშევიკური ეროვნული გაერთიანება:
**ა. ავტორხანოვი**
**რ. გაპპო..**

თურქესტანის ეროვნლი კომიტეტი:
**კ. კანატბაი**
**დ. ტაგიბერლი.**

## თათბირის გარშემო

ვისბადენში მომხდარმა თათბირმა დიდი აურ - ზაური გამოიწვია და დაინტერესებული პირები მის შესახებ ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ. თუ რამდენათ არ შეეფერება ყოველივე ეს სინამდვილეს — მკითხველი ადვილათ დაინახავს ამ ჩვენი ბიულეტენიდან, სადაც საკმარისათ მოთხრობილია ყოველივე ის, რაც იქ მოხდა.

## მემორანდუმი და ადრესი

O.N.U.-ის წევრებს გადაეცა ვრცელი მემორანდუმი საქართველოს პრობლემის შესახებ. მემორანდუმს ხელს აწერს საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია და ეროვნული საბჭოს კომიტეტის დავალებით ბ-ნი დ. სხირტლაძე.

ეროვნული საბჭოს კომიტეტმა გადასცა აგრეთვე მადლობის ადრესი ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს — ბ-ნ აჩესონს, იმ სიტყვისათვის, რომელიც მან წარმოსთქვა 26 მაისს, „ამერიკის ხმა"-ს ქართული სექციის გახსნის გამო.

---

უადგილობის გამო პრესის მიმოხილვა ვისბადენის თათბირის ირგვლივ გადაიდო შემდეგისათვის.

Le Directeur, V. Iastzkirveli.
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ „დაარღვია" ქართულ დელეგაციამ დაპყრობილ ერთა ფრონტი ვისბადენში

ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა მოსკოვის მიერ დაჩაგრულ ერებთან საკოორდინაციო კომისია გამოყო; ამ უკანასკნელს ამ მიზნით 6 ნოემბერს ჰქონდა შეხვედრა ბ. საზონტიევთან (უკრაინის რადის წარმომადგენლობა საფრანგეთში).

ბ. საზონტიევმა კომისიას სხვათა შორის განუცხადა, რომ თავში მისი მთავრობა უფრთხოდა ამერიკულ კომიტეტის წამოწყებას, მას ეშინოდა რუსს ემიგრაციასთან წაკავშირებას უკრაინულ ეროვნულ პრობლემის კომპრომეტაცია არ მოეხდინა და თუ ვისბადენმა ეს შიში და ეჭვები გაფანტა ეს სავსებით ქართულ დელეგაციის დამსახურებაა; ამიტომ ის მთავრობის სახელით მხურვალე მადლობას უცხადებს ბ. ნ. ცინცაძეს მჭერმეტყველურად და მტკიცედ ერთა უფლების დაცვისათვის.

განსაკუთრებით ჩვენთვის, უკრაინელთათვის, ძვირფასი და დაუვიწყარია, დასძინა ბ. საზონტიევმა, ქართველთა თანხმობა უკრაინის წარმომადგენლობის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ; ეს კი თავდებია იმის, რომ ქართულ-უკრაინულ საერთო ფრონტი შემდეგში დაბრკოლებას არ გამოიწვევს.

## ვისბადენის თათბირის გარშემო

ვისბადენის თათბირს პრესა ფართოდ გამოეხმაურა, მაგრამ ეს გამოხმაურება არ იყო ერთსულოვანი. რუსული პრესა, განსაკუთრებით, მისი მარჯვენა ფრთა, წარმოდგენილი თათბირზე, უკმაყოფილო ვისბადენით — შტუტგარდისაკენ იყურება. არც „ნაციონალ"-ების პრესაა „ოპტიმისტურად" განწყობილი, რომლის ნიმუშად მოგვყავს ამონაწერი გავლენიან უკრაინულ ჟურნალიდან „უკრაინსკი ვისტი" (№ 91).

„თათბირი დაიწყო — სწერს ის — დიდი ბანკეტით, რომელიც მოაწყო ბ-ნმა დონ ლევინმა პატივსაცემად „ძვირფასი სეპარატისტ—სტუმრებისათვის". ბანკეტის დასასრულს მან წარმოთქვა გრძელი, მაგრამ ბუნდოვანი სიტყვა, სამაგიეროდ ბ-ნმა კერენსკიმ ილაპარაკა მოკლედ, მაგრამ გარკვევით, რომ „მთავარი მიზანი უნდა იყოს რუსეთის მთლიანობის შენახვა"-ო.

„ბ. კერენსკის შემდეგ სიტყვა აიღო პარიზის ქართული კომიტეტის წარმომადგენელმა ბ-ნმა ცინცაძემ. ის არ დაეთანხმა ბ.ბ. დონ ლევინს და კერენსკის და იცავდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ერებისათვის დამოუკიდებლობას, რისთვისაც მას მადლობა გადაუხადეს აზერბეიჯანის, ბელორუსიის, სომხების, თურქესტანის და ჩრდილო-კავკასიის წარმომადგენლებმა.

დაბოლოს დაიწყო თათბირი. „ნაციონალ"-თა წარმომადგენლის შეკითხვაზე — შეიძლება თუ არა ეხლანდელი სტრუქტურა „სონრ"-ისა *) გახდეს საგანი დისკუსიისა, — „დემოკრატ"-მა ბ-მა კერენსკიმ განაცხადა, რომ ნაციონალური ჯგუფების წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ სონრ-ის სტრუქტურა და საფუძვლები უცვლელად, ისე, როგორც არის წარმოდგენილი. ქართველებმა შეიტანეს თავის წინადადება, სადაც ითხოვდნენ დამოუკიდებლობის ცნობას ყველა იმ ეროვნულ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც იყვნენ გამოცხადებული 1917-19 წ.წ. რუსებმა ეს წინადადება არ მიიღეს, თუმცა ლიგა (კერენსკის გამოკლებით) და „სბონრი", თითქოს, თანახმანი იყვნენ ის მიეღოთ. სამმა დანარჩენმა რუს-პარტიებმა კი კატეგორიულად უარყვეს ის.

გაიმართა აგრეთვე ხანგრძლივი კამათი საერთო ორგანოს სახელწოდების შესახებ. ნაციონალების წარმომადგენელნი მოითხოვდნენ, რომ „რუსეთის ხალხების" ნაცვლად ყოფილიყო „სსსრ"-ის ხალხები". რუსის პატრიოტები არც ამაზე დათანხმდნენ; არც ერთი საკითხის შესახებ შეთანხმება არ მოხდა და თათბირი დამთავრდა „არაფრით" და სხ. და სხ.

სხვა დანარჩენ პრესის მიმოხილვა გადაიდო შემდეგისათვის, უადგილობის გამო, როგორც ეს აღნიშნულია ბიულეტენში.

---

*) მიღებული რუსთა მიერ შტუტგარდში.